 პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 202 (4712)

1972 წ. 11 ოქტომბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

კვირას რუსთავში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატის ბოლოსწინა, IV ეტაპი შეჯიბრებისა მოტოკროსში. სარბიელზე 250 და 500 კბ სმ-ის მოცულობის მოტოციკლებით ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები გამოვიდნენ. კიეველ ვ. კრასნოშჩოკოვს, ბოლო ეტაპის (მოეწყობა 15 ოქტომბერს თბილისში, დელისის მიდამოებში) შედეგების მიუხედავად, უკვე უზრუნველყოფილი აქვს ჩემპიონობა 500-იანებით რბოლაში.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ვ. კრასნოშჩოკოვი ასპარეზობის დროს.

## მიუნჰენის გმირები უნივერსიტეტში

მასპინძლებს სცენის სიღრმეში ოლიმპიური თამაშების უზარმაზარი ემბლემა დაეკიდათ. „მიუნჰენი — 72" — ეწერა ზედ და შეკრებილნიც სასიამოვნო მოლოდინში იყვნენ.

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი მხურვალე ტაშით შეხვდა შესანიშნავი ქართველი სპორტსმენების გამოჩენას.

მართლაც ტიტულოვანი ხალხი შეიკრიბა: XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ლ. თედიაშვილი (იგი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია) და შ. ჩოჩიშვილი, ოლიმპიადების ვერცხლის მედლების ორგზის მფლობელი დ. შანიძე, მიუნჰენის თამაშების პრიზიორები ქ. ლოსაბერიძე და ჯ. მეგრელიშვილი, XX ოლიმპიადის მონაწილე საბჭოთა ნაკრების სათადარიგო წევრი ნ. დრონოვა. სხვათა შორის, დრონოვას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტის სტუდენტი გახდეს.

მათთან ერთად მოვიდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბალავაძე (იგი მიუნჰენში მოჭიდავეთა ტურნირში ხალიჩის ხელმძღვანელი განმკარგულებელი იყო), საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ს. ბურჯანაძე, შ. ჯაშიაშვილი, ქ. ნინიაშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. ზუკაკიშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ტელე-რადიოკომენტატორი კ. მახარაძე.

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის ვ. ბაქრაძის შესავალი სიტყვის შემდეგ XX ოლიმპიური თამაშების შესახებ საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ვ. ბალავაძე, ლ. თედიაშვილი, ნ. დრონოვა, დ. შანიძე და კ. მახარაძე.

მასპინძელთაგან გულთბილი მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს უნივერსიტეტის პრორექტორმა ხ. ჯორბენაძემ, ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ ე. გოკიელმა, ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამეკურსელმა ნ. აბესაძემ.

საინტერესო საღამოს დასასრულს სტუმრებს, რომლებმაც შეკრებილთა მრავალ შეკითხვაზე გასცეს პასუხი, სამახსოვრო სუვენირები გადაეცათ.

ო. დარახველიძე.

სადღესი მოგვითხრობს

## ჩვენი მოკლე კორესპონდენციები

### დევიზი „ნამგალი და ურო"

ჩელიაბინსკისა და მაგნიტოგორსკის ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების კოლექტივები აქტიურად ეხმარებოდნენ სოფლის მშრომელებს მოსავლის აღებაში. ოქტომბრის თვეში მათ სამხრეთ ურალის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაგზავნეს ფიზკულტურული ბრიგადები, რათა მასპინძლებს დაეხმარონ შმდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, სპორტში ვარჯიშში. დევიზით „ნამგალი და ურო" ეწყობა ლექციები და საუბრები სპორტულ თემაზე, ოსტატთა და თანრიგოსანთა საჩვენებელი გამოსვლები, ამხანაგური შეჯიბრებები.

### აბრეშუმის სპორტდარბაზი

შუა ენისეიზე, დასვენების კუნძულზე, ახალი სპორტდარბაზის წითელი გუმბათი ალაპლაპდა. ეს კრასნოიარსკში პირველი სპორტული გასაბერი ბაზაა. პავილიონი ნაგებია... მაერისგან, აბრეშუმისგან, დედერონისგან. იგი გდრ-ში გააკეთეს. ხამმა მძლავრმა ვენტილატორმა 18 წუთში დაადგა გუმბათი 800 კვადრატულმეტრიან მოედანს.

ზამთარი რომ დადგება, ამ დარბაზში ყინულს დააგებენ და ბავშვთა სპორტული სკოლის მოსწავლეები იმეცადინებენ.

### „ოქროს შემოდგომის" პრიზზე

სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღის წინ სოფელ აგინსკოეში — ბურიატთა ნაციონალური ოლქის ცენტრში — მოეწყო ტრადიციული მძლეოსნური ესტაფეტა „ოქროს შემოდგომის" პრიზზე. შეჯიბრებამ 34 გუნდს მოუყარა თავი.

### მძლეოსნური ესტაფეტა

ხაბაროვსკში მოეწყო საშემოდგომო მძლეოსნური ესტაფეტა სამხარეო გაზეთ „ტიხოოკეანსკაია ზვეზდას" პრიზზე. შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს, აგრეთვე, თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტებისგან შორეული აღმოსავლეთის გათავისუფლების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა. შეჯიბრების ტრასაზე 1500-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა.

## ლიდერებმა პოზიციები განიმტკიცეს

ბურგასი, 9 ოქტომბერი. კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა ახალი გამარჯვება იზეიმა. ამჯერად მან დაამარცხა რუმინეთის გუნდი — 88:43. ევროპის ათგზის ჩემპიონის დამაჯერებელი სტარტი სპეციალისტთა გაკვირვებას ოდნავაც არ იწვევს. საბჭოთა გუნდს ტურნირის დაწყებამდე ყველა წარმატებას უწინასწარმეტყველებდა და ორი რიგითი მოგება სტარტზე სწორედ ამ პროგნოზის დადასტურებაა.

ინტერესს იწვევს ჩვენი კალათბურთელების თამაში დაცვაში. ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ლ. ალექსეევამ პრეს-კონფერენციაზე საჯაროდ განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონის მთავარი ამოცანა მოცემულ ეტაპზე (მწვრთნელის მხედველობაში ჰქონდა ჯგუფური ტურნირი) დაცვითი ხაზების რეგულირებაა. ლ. ალექსეევა, როგორც ჩანს, შორს უმიზნებს. მას განზრახული აქვს კალათბურთელები ჯგუფურ ტურნირში მძიმე ფინალური გამოცდებისთვის შეამზადოს.

ეს ამოცანა საბჭოთა გუნდმა ჯერჯერობით წარმატებით გადაჭრა. ყოველ შემთხვევაში, ორი ტურის შემდეგ ჩვენი დაცვითი ხაზების მიმართ მწვრთნელს სასაყვედურო არაფერი აქვს. გუნდმა „დაკარგა" მხოლოდ 86 ქულა.

ბურგასის ჯგუფში წარმატებით იბრძვის უნგრეთის ნაკრებიც, რომელმაც მეორე ტურში იოლად მოუგო იტალიელებს (67:30) და საბჭოთა კალათბურთელებთან ერთად ლიდერობს ჯგუფურ ასპარეზობაში. იუგოსლაველებმა სძლიეს პოლონელებს — 82:66.

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა ვარნის ჯგუფშიც. ჩეხოსლოვაკიელებმა პირველი ტურის წარმატებას ახალი გამარჯვება დაუმატეს (ჰოლანდიელებთან, ანგარიშით 71:44) და ხელთ იგდეს ლიდერობა. ლიდერთა შორის არიან ბულგარელი კალათბურთელებიც, ოღონდ მათ ერთ ძლიერ მეტოქესთან უკვე მოიგეს თამაში: II ტურში დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს ბოლო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — საფრანგეთის ნაკრები ანგარიშით 53:44. გდრ-ს გუნდმა მოუგო ავსტრიას — 58:42.

ორი ტურის შემდეგ ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ჰყავს სსრ კავშირის ნაკრებს, რომლის მთავარი ბომბარდირი ყ. სემიონოვა ერთპიროვნულად ლიდერობს სნაიპერთა სიას (ბოლო მატჩში რუმინეთთან თავის კოლექტივს მან 20 ქულა შესძინა).

აი, რა მაჩვენებლები აქვთ ჯგუფური ტურნირების ლიდერებს:

**ბურგასის ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 170—89 |
| უნგრეთი | 2 | 2 | 0 | 168—88 |

**ვარნის ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 2 | 0 | 128—83 |
| ბულგარეთი | 2 | 2 | 0 | 139—104 |

## მოგებაც და წაგებაც

### ერევანში...

გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივი ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ჩოგბურთელ ვაჟებს შორის. თბილისელთა გუნდმა, რომელშიც ცნობილი ჩოგბურთელები ა. მეტრეველი და თ. კაკულია გამოდიოდნენ, იოლი გამარჯვება მოიპოვა (5:0). ახლა თბილისის „დინამო" დასკვნითს შეხვედრებს გამართავს დუშანბეში, სადაც განზრახულია ნახევარფინალური და ფინალური მატჩების ჩატარება.

### თბილისში...

სსრ კავშირის თასის გათამაშების პროგრამით ადგილობრივი „ბურევესტნიკისა" და ტალინის „დინამოს" ქალთა გუნდების მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:2. აღსანიშნავია, რომ თბილისელებს 2 მომგებიანი ქულა მოუტანა ო. პაპაიანმა. მან ერთეულთა შეხვედრებში მოუგო სსრ კავშირის ცნობილ ჩოგბურთელებს ტ. პარმასს და ე. ზინკევიჩს.

## რბოლას 77 სპორტსმენი განაგრძობს

მუკაჩევო, 9 ოქტომბერი. საკავშირო მრავალდღიანიველორბოლის XI ეტაპი 145-კილომეტრიან წრიულ სამთო ტრასაზე ჩატარდა. სტარტი და ფინიში ქალაქის ფარგლებში მდებარეობდა, ასე რომ, მაყურებლებს საშუალება ჰქონდათ თვალყური ედევნებინათ რბოლის ყველაზე პასუხსაგები უბნებისთვის.

როგორც ცნობილია, წინა X ეტაპმა, რომლის ტრასა რამდენიმე რთულ ზეკარზე იყო განლაგებული, ბევრი ენერგია წაართვა ველოსიპედისტებს. მაყურებლები დარწმუნებული იყვნენ, რომ XI ეტაპს სპორტსმენები მშვიდობიანად გაივლიდნენ. მოხდა კი პირიქით: სტარტიდანვე დაწინაურდა ველოსიპედისტთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდა, კუიბიშევის, უკრაინის, მოლდავეთისა და ლენინგრადის 3-3 მონაწილე. აქ იყვნენ რბოლის ერთპიროვნული ლიდერი რიგელი რ. კალნენიექსიცა და მისი უახლოესი მეტოქეებიც.

ჯგუფმა სულ მალე 3 წუთი მოუგო ველოსიპედისტთა ძირითად მასას, რომელსაც, როგორც ჩანს, არ აწუხებდა დაწინაურებულთა მდგომარეობა და მშვიდად მიიკვლევდა გზას ფინიშისკენ. მაგრამ ეს მოჩვენებითი ინერტულობა იყო.

ერთ-ერთ აღმართზე ძირითად ჯგუფს გამოეყო კიდევ 11 ველოსიპედისტი, რომელსაც ერთგვარი საშუალედო პლაცდარმი შექმნეს წინ წასულებსა და ძირითად ჯგუფს შორის.

მუკაჩევოს სტადიონზე ყველაზე ადრე შემოვიდა 22 წლის კუიბიშეველი ველოსიპედისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. გუსიატნიკოვი — 3:24.10,0 (მისი საშუალო სიჩქარე საათში 42,6 კილომეტრს უდრიდა). ფინიშთან მეორე იყო ლატვიელი ა. იაკობსონი, მესამე — კიშინიოველი ი. მოსკალიოვი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ველორბოლის მონაწილეებმა უკვე გაიარეს 1389 კილომეტრი (საშუალო სიჩქარე — საათში 41,8 კილომეტრი). რბოლას 96 მონაწილიდან 77 განაგრძობს. ტრავმის გამო ასპარეზობას გამოეთიშა შარშანდელი მრავალდღიანი ველორბოლის ჩემპიონი, მოსკოველი ი. დმიტრიევი.

11 ეტაპის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: 1. კალნენიექსი—33:15.24,0, 2. გუსიატნიკოვი — 33:21.52,0, 3. ნ. სიტნიკი (კუიბიშევი) — 33:24.30,0. გუნდურ ჩათვლაში წინ კვლავ კუიბიშეველთა კოლექტივია — 99:58.06,0. მომდევნო ადგილებზე არიან: ლატვიის (100:16.38,0) და უკრაინის (100:17.01,0) წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კათედრების დასახმარებლად

ჩვენი რესპუბლიკის ხუთი პედაგოგიური ინსტიტუტის (სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, სამხრეთ ოსეთის) ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტებს ევალებათ გამოუშვან კვალიფიციური ფიზაღზრდის მასწავლებლები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის.

ამ სასწავლებლებიდან გორის პედაგოგიური ინსტიტუტის გარდა წლეულს ყველამ გამოუშვა ახალგაზრდა სპეციალისტთა ნაკადი (სოხუმის ინსტიტუტისთვის ეს უკვე მეორე გამოშვება იყო).

ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტების მუშაობის კოორდინაციისთვის შექმნილია ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრები. ამ კათედრების მასწავლებელთა საქმიანობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია მოეწყოს თათბირ-სემინარები ზემოხსენებული ფაკულტეტების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ 1972 წლის 14 სექტემბერს გამოსცა ბრძანება (№282) „ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრების თათბირ-სემინარების ორგანიზაციისა და მოწყობის შესახებ“. ამ ბრძანების საფუძველზე სოხუმში მოეწყო რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების ზემოხსენებული კათედრების გამგეთა თათბირი.

თათბირის ხელმძღვანელმა, დოცენტმა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ო. ვახანიამ თათბირის მონაწილეებს გააცნო კათედრათა მუშაობის ორგანიზაციის, დაგეგმვის, აღრიცხვის, პედაგოგიური პრაქტიკის, საკურსო სამუშაოთა თემატიკის საკითხები, ილაპარაკა სოხუმის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობის გამოცდილებაზე.

ამის საფუძველზე კათედრის გამგეებმა დაამუშავეს ერთიანი მოთხოვნები. მათ გადაწყვიტეს, აგრეთვე, საორგანიზაციო საკითხები მომავალი თათბირ-სემინარებისა სპეციალობათა მიხედვით (მძლეოსნობა, სპორტული თამაშები, ტანვარჯიში, ცურვა, მოძრავი თამაშები, სათხილამურო სპორტი და ტურიზმი), რომლებიც შესაბამის ქალაქებში ჩატარდება დამტკიცებული გეგმით.

ამ თათბირ-სემინარების მიზანია ფიზაღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანი სისტემის ორგანიზაცია, კათედრების საქმიანობის ორგანიზაციული ფორმის დაზუსტება, ცალკეული სასწავლო დისციპლინების გადაცემის ფორმებისა და მეთოდების დაკონკრეტება, სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესება, თემატიკის შერჩევა და საკურსო ნამუშევართა დაცვის ორგანიზაცია.

**ვ. სევრიუკოვა,**
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზმომზადების განყოფილების ინსპექტორი — მეთოდისტი.

## საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადა

50

**[illegible] შედეგები...**

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 8-5 ოქტომბერი. იმ სახეობებში, რომლებშიც სპორტსმენებმა ჩასათვლელი ნორმატივები ვერ შეასრულეს, მეორე და მესამე პრიზიორებს არ ვასახელებთ.

**1954-55 წლებში დაბადებული გოგონები.** რბენა. **100 მ.** ნ. პოლიაკოვა („სპარტაკი“) — 12,4, ტ. ბელოვა („დინამო“) — 12,5, თ. ლოლაძე („ბურევესტნიკი“) — 12,8; **200 მ.** პოლიაკოვა — 25,9, ბელოვა — 26,3, ლოლაძე — 26,5; **400 მ.** თ. მატიცინა („სპარტაკი“) — 1.01,4; **1500 მ.** ნ. სუდაკოვსკაია („ბურევესტნიკი“) — 5.13,0. **100 მეტრზე თარჯრბენი.** ე. გორდეზიანი („განთიადი“) — 20,7. **ესტაფეტა. 4X100 მ.** „ბურევესტნიკი“ — 52,1; **4X400 მ.** „სპარტაკი“ — 4.18,0. **სიმაღლეზე ხტომა.** მ. ალიაკრინსკაია — 165, გ. პოლიაკოვა (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 155. **სიგრძეზე ხტომა.** ლ. არღუნი („დინამო“) — 531, ვ. ივანოვა („განთიადი“) — 503, ზ. კოსტრიკინა („ლოკომოტივი“) — 502. **ბადროს ტყორცნა.** ნ. ლაბაძე („ლოკომოტივი“) — 42,23, ე. მეგენეიშვილი („ბურევესტნიკი“) — 38,50, ნ. ბოჟაძე („განთიადი“) — 36,80. **შუბის ტყორცნა.** ე. შტუკატუროვა („ბურევესტნიკი“) — 40,06. **ბირთვის კვრა.** ლ. სივაკონი („ბურევესტნიკი“) — 11,36.

**ჭაბუკები.** რბენა. **100 მ.** დ. მელაძე („ბურევესტნიკი“) — 10,7, ვ. კაკაურიძე („ლოკომოტივი“) — 10,9, თ. აჯოევი („ბურევესტნიკი“) — 11,0; **200 მ.** ვ. კოზელსკი („დინამო“) — 22,5, ი. ვაშალომიძე — 22,6, ჯ. მექვაბიშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 23,0; **400 მ.** ვაშალომიძე — 50,6, ნ. ტაროიანი („ბურევესტნიკი“) — 51,1, ნ. ოდინეცი („სპარტაკი“) — 51,9; **800 მ.** ტაროიანი — 2.02,2, ა. ბოლგოშვილი („განთიადი“) — 2.02,2, ვ. კოლესნიკოვი („კოლმეურნე“) — 2.03,2; **1500 მ.** ი. არჯევანიძე — 4.11,3, ს. ხაჩატურიანი (ორივე — „კოლმეურნე“) — 4.16,8, ბოლგოშვილი — 4.18,5; **2000 მეტრზე წინაღობებით.** არჯევანიძე — 6.12,8. **თარჯრბენი. 110 მ.** ბ. ვეშაგურიძე („ბურევესტნიკი“) — 15,4, ქ. ტუკვაძე („დინამო“) 16,6; **400 მ.** ნ. აბუაშვილი („კოლმეურნე“) — 59,6, ტუკვაძე („დინამო“) — 59,8. **10 კმ-ზე სპორტული სიარული.** ნ. მალაზონია („კოლმეურნე“) — 51.19,8. **ესტაფეტა. 4X100 მ.** „ბურევესტნიკი“ — 42,4, „სპარტაკი“ — 44,5, „დინამო“ — 44,8; **4X400 მ.** „ბურევესტნიკი“ — 3.30,2. **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. კუზინი — 190, ნ. მსხვილაძე — 185, გ. შუბინი (ყველა — „ბურევესტნიკი“) — 185. **სიგრძეზე ხტომა.** ვ. სოროკინი („ბურევესტნიკი“) — 719, გ. გუნჩინი („განთიადი“) — 690, გ. ოგანეზოვი („სპარტაკი“) — 678. **სამხტომი.** მ. ჩარასი („სპარტაკი“) — 13,82. **ჭოკით ხტომა.** ა. მარავსკი („სპარტაკი“) — 425, ნ. კალანიდი („ბურევესტნიკი“) — 380. **ბადროს ტყორცნა.** ნ. ქებაძე — 41,70, ვ. შვეტიშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 41,60. **შუბის ტყორცნა.** რ. ალახვერდოვი („ლოკომოტივი“) — 63,70, რ. ხუციანიძე („ბურევესტნიკი“, პირადი) — 62,44, ტ. ზასეევი („სპარტაკი“) 61,97. **ბირთვის კვრა.** ვ. ხმელიძე — 16,90, ნ. ყესაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 14,44. **უროს ტყორცნა.** შ. აგიშევი („დინამო“) — 55,02, გ. ელიაშვილი („ბურევესტნიკი“) — 53,86, რ. ფუხაევი („სპარტაკი“) — 46,88. **ათჭიდი** ო. ლიპარტელიანი („ლოკომოტივი“) — 5769, თ. პატეიშვილი („სპარტაკი“) — 5444.

**1950-53 წლებში დაბადებული ქალიშვილები.** რბენა **100 მ.** მ. გელაშვილი („ბურევესტნიკი“) — 12,5; **200 მ.** ლ. ჭარბაძე („ბურევესტნიკი“) — 26,8; **400 მ.** ტ. ოსიპოვა („ლოკომოტივი“) — 58,5 **100 მეტრზე თარჯრბენი.** ვ. ფედოსეენკოვა („დინამო“)—17,8. **სიმაღლეზე ხტომა.** ლ. გუკი („ბურევესტნიკი“) — 160. **სიგრძეზე ხტომა.** ვ. ყიფიანი („ლოკომოტივი“, პირადი) — 561. **ბადროს ტყორცნა.** გ. ბერაია („ბურევესტნიკი“) — 38,99. **შუბის ტყორცნა.** ე. ჩამგელიანი („კოლმეურნე“) — 38,16. **ბირთვის კვრა.** ბერაია — 12,54. **ხუთჭიდი.** ფედოსეენკოვა — 3309 ქულა.

**იუნიორები.** რბენა. **100 მ.** ა. ვიუნოვი („სპარტაკი“) — 11,0; **200 მ.** ვიუნოვი — 22,2 ი. მინეევი („ლოკომოტივი“) — 22,6; **400 მ.** შ. ჯაბიშვილი („სპარტაკი“) — 50,7; **800 მ.** გ. შოშიაშვილი („ბურევესტნიკი“) — 1.55,4, გ. ხარაზიშვილი („კოლმეურნე“) — 1.55,7, ზ. ქავზინაძე („ბურევესტნიკი“) — 1.56,0; **1500 მ.** შოშიაშვილი — 3.57,1, გ. ხარაზიშვილი — 3. 57,9, ე. გათიკოევი („სპარტაკი“) — 4.01,8. **თარჯრბენი. 110 მ.** ზ. ალხანაიძე („კოლმეურნე“, პირადი) — 15,4; 400 მ. ლ. გლადილინი („დინამო“) — 56,8. **ესტაფეტა — 4X100 მ.** „სპარტაკი“ — 44,0. **სიგრძეზე ხტომა.** ვ. ჩუკანოვი („ბურევესტნიკი“, პირადი) — 739, ი. ლივადა („დინამო“) — 727. **სამხტომი.** მ. ფრიდმანი („ბურევესტნიკი“, პირადი) — 14,83. **ჭოკით ხტომა.** ვ. ამოსოვი („ბურევესტნიკი“) — 440, ს. მანჟუკოვი („განთიადი“) — 425. **ბადროს ტყორცნა.** ვ. მიხალჩუკი („დინამო“) — 48,62. **შუბის ტყორცნა.** ნ. ზვიადაური („ბურევესტნიკი“) — 68,94. **ბირთვის კვრა.** თ. ხმელიძე („ბურევესტნიკი“) — 15,04. **უროს ტყორცნა.** ჯ. ფხაკაძე („დინამო“) — 72,56, ი. ბარსლივა („კოლმეურნე“, პირადი) — 64,20. **20 კმ-ზე სპორტული სიარული.** ვ. პეტროვი („სპარტაკი“) — 1:39.50,2, ა. ბერიძე — 1:41.59,4, ვ. სანიკიძე (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 1:43.48,8. **ათჭიდი.** ბ. არველაძე — 6583, ა. ტყემალაძე — 6305, მ. ნიკურაძე (ყველა — „კოლმეურნე“) — 6032.

• • •

**თბილისელმა მ. თათევოსიანმა ჭოკით ხტომაში საქართველოს მძლეოსნებიდან პირველმა გადალახა 5 მეტრი სიმაღლე, რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა და სპორტის ოსტატობაც შეასრულა.**



**სურათზე:** მ. თათევოსიანის „კოსმოსური“ სიმაღლე.

**ო. გელაშვილის ფოტო.**

# „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“...

საზოგადოებრივმა ცხოვრებამ დიდი და პატარა საქმე არ იცის.

მთავარი ის კი არ არის, სად ცხოვრობ, რა სამეცნიერო ხარისხი გაქვს, წიგნები დაგიწერია. თუ არა, კარიერის რომელ საფეხურზე დგახარ, რას წარმოადგენს შენი სამუშაო კაბინეტი. არა, მთავარია ვინ ხარ, როგორ ემსახურები შენი ცოდნის შესაბამისად იმ უბანს, რომელსაც სათავეში ჩაუდექი, ხარ თუ არა იმ საქმის სული და გული, რაც მოგანდეს, ცოცხლობ თუ არა იმ კოლექტივის სულისკვეთებით და მიზნით, რომლის წევრადაც ითვლები.

მოწინავე მხოლოდ ისაა, ვისი ყოველი სამუშაო დღეც აღსავსეა წარმატების რწმენით.

ჩვენს დროში კულტურის, მეცნიერებისა და სამეურნეო ცხოვრების უდიდესი წინსვლა სწორედ იმის შედეგია, რომ ადამიანებს საკუთარი თავის შეცნობისა და თავიანთი ძალების საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოყენების საშუალება მიეცათ.

მასწავლებლის სახელი მუდამ საპატიო იყო, მაგრამ დღევანდელ სიმაღლეზე ალბათ არასდროს ასულა.

ალექსანდრე მაკედონელი მშობლებს მადლობით მოიხსენიებს იმის გამო, რომ სიცოცხლე მიანიჭეს, ხოლო მასწავლებლებს იმისთვის, რომ სიცოცხლის ღირსი გახადეს.

მასწავლებელთაგან ფიზიკური აღზრდის პედაგოგის შრომა მრავალმხრივ არის განსაკუთრებული.

სპორტულ საგანთა სწავლების სწორ ორგანიზაციაზე ბევრად არის დამოკიდებული ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი, ყოველმხრივ განათლებული ადამიანის ჩამოყალიბება.

სამწუხაროდ, ზოგს ჯერ კიდევ მიაჩნია კარგი მუშაობის ყველაზე დიდ დაფასებად ქალაქში დაწინაურება. ოღონდაც, ზოგი რამით მუშაობის უკეთესი პირობებია ქალაქად. მაგრამ პირობებს ხომ თვითონ ადამიანები ქმნიან.

დღეს კი სხვაგვარ მუშაკზე, სხვაგვარ მასწავლებელზე გვინდა გიამბოთ, რომლის ბიოგრაფიაც მოკლედ ასე გადმოიცემა:

ილია ლეკვეიშვილი დაიბადა 1930 წელს, სოფელ დიდ ჯიხაიშში. 1949 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. 1953 წელს, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურისა და სპორტის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, მუშაობა დაიწყო თავისივე სოფლის — დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, მასწავლებლად.

სკოლის წლებში ფეხბურთი და მძლეოსნობა იტაცებდა. ორივე სახეობაში სამტრედიის რაიონის სპორტული სკოლის ნაკრებ გუნდებში გამოდიოდა. უფრო გვიან, სტუდენტი რომ გახდა, ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა. ხაბოლოოდ სულითა და გულით ჩაება საყვარელ საქმეში.



დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმში ახალგაზრდები მეორე სპეციალობასაც იღებენ — სპორტის სხვადასხვა სახეობაში ამზადებენ ფიზკულტურის საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს, მსაჯებს, ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარეებს, ინსტრუქტორ-მეთოდისტებს.

ამ სასწავლებელში ბევრი სხვადასხვა სახეობაა დანერგილი. საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს კალათბურთის, მძლეოსნობის, ფრენბურთის, ხელბურთის, ფეხბურთის, ველოსპორტის, სროლის, ჭადრაკის, შაშის, ლელოს, ქართული ჭიდაობის სექციები. ბევრჯერ მოუპოვებიათ წარმატება რაიონულ თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე ილია ლეკვეიშვილს ბევრი კარგი სპორტსმენი გაუზრდია. რომელი ერთი დავასახელოთ: თ. გეგუჩაძე, ი. შუბითიძე, ი. ვაშაკიძე, ჯ. ნანიკაშვილი, რ. ქიმბარაშვილი, ბ. ბათილაშვილი, ვ. ახალაია, კ. ბალიაშვილი, შ. ენდელაძე, მ. სტურუა, თ. ლიპარტელიანი, თ. პაპაშვილი, კ. სპანდერაშვილი, მ. მრელაშვილი, ჟ. ქვირია, ჯ. ჯანიაშვილი...

ილია ლეკვეიშვილი პირველი კატეგორიის მსაჯია ფეხბურთსა და ხელბურთში, მიღებული აქვს რესპუბლიკური მსაჯის წოდება ქართულ ჭიდაობასა და ლელოში.

მაგრამ წიგნაკში ჩანაწერები და ავტობიოგრაფია არ კმარა ამ ჭაღარაშერთული კაცის გასაცნობად.

თუ გინდა ადამიანი იცნო, საქმეში უნდა გამოსცადო. მასწავლებელი გაკვეთილზე იცნობა, ექიმი ავადმყოფის საწოლთან, მხედართმთავარი არმიაში.

ილია ლეკვეიშვილს დღესაც ილუშა მასწავლებელს ეძახიან სიყვარულით.

მასწავლებელს, აღმზრდელს, ახალგაზრდობასთან მომუშავეს, არა აქვს დაბერების უფლება. ახალგაზრდობის აღფრთოვანება, ახალგაზრდების სიყვარულის მოპოვება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ახალი გამარჯვებისთვის შეჰხარის მომავალს, ვინც მიღწეულს არ სჯერდება.

რესპუბლიკაში ცნობილია დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო საყრდენ-საჩვენებელი ტექნიკუმი. მისი სპორტული ბაზები, კომბინირებული სტადიონი, სპორტული დარბაზი და ფართო ასპარეზი დიახაც მუშაობის დიდ გასაქანს იძლევა. ამგვარ პირობებში წარმატების მოპოვება ბევრ ვინმეს იოლად მოეჩვენება, მაგრამ მარტო ბაზა რას იზამს, თუ მასწავლებლის ორგანიზაციული ნიჭი, მთელი კოლექტივის დაუღალავი შრომა და მონდომება არ იქნა. ბაზის შექმნით კი არ მთავრდება, არამედ იწყება რთული და დიდი საქმე, აღმზრდელი პედაგოგის მუშაობის ის მაღალი დონე, რომელსაც მოღვაწეობა ეწოდება. „ილუშა მასწავლებელმა“ სწორედ ამ მოღვაწეობით მოიხვეჭა დიდი პატივისცემა და აღიარება.

მთავრობის ჯილდოები და საპატიო სიგელები ერთის მხრივ ილია ლეკვეიშვილის მრავალწლიან ნაყოფიერ მუშაობას ადასტურებენ, მეორეს მხრივ კი კიდევ ერთხელ გვახსენებენ, რა დიდ როლს აკუთვნებს დღევანდელი ცხოვრება საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ამ სასწავლებლებში.

**პ. ვაშაკიძე.**

**სურათზე:** ი. ლეკვეიშვილი.
ავტორის ფოტო.

# ატენის ისტორიულ ადგილებში

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა გორის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: გორი-ატენი-სიონი.

ლაშქრობის მონაწილეებმა დაათვალიერეს სკოლა-ინტერნატი, „ატენურის“ ღვინის ქარხანა, ისტორიული ძეგლი „სიონი“.

სკოლა-ინტერნატის დირექტორი ა. საგანელიძე სტუმრებს ესაუბრა უახლოესი გეგმებისა და ამოცანების შესახებ, თქვა, რომ ინტერნატის სპორტულ ბაზებს შეემატა დახურული პატარა საცურაო აუზი.

ლაშქრობის მონაწილეები ეწვივნენ ატენის ისტორიულ ადგილებს.

**გ. მთვარელიძე,**
გორის რაიონის სპორტსკოლის დირექტორი.

# მიუნჰენის ოქროს წიგნი

## 8. ოქროს კი ველოდით

მესეგლენდეს ძალოსნურ დარბაზიდან უსიამო ცნობები მოვიდა. უმჩატეს წონაში საბჭოთა გუნდს მონაწილე არ გამოუყვანია, ხოლო მომდევნო წონაში გ. ჩეტინმა საწყისი სიმძიმე ვერ დაძლია და ასპარეზობას გამოეთიშა. ნუთუ დღესაც ასე იქნება? ამ ფიქრით მივედით სარბიელზე, სადაც ქვემძიმე წონის ათლეტები საწვრთნელ დარბაზში სიმძიმეებს ებრძოდნენ მთავარ ფიცარნაგზე გამოსვლის წინ. აქ იყო ჩვენი დიტო შანიძეც, მუდამ მხიარული, ენამოსწრებული და თანაგუნდელთა საყვარელი კაცი. ბრძოლა კი ძნელი ელოდა. მის წონაში გამოდიოდნენ ცნობილი სპორტსმენები, უნგრელი ი. ბენედეკი, პოლონელები ი. ვოინოვსკი და მ. ნოვაკი, იაპონელი ი. მიაკე. ყველა ფიქრობდა, რომ საპრიზო ადგილებიც სწორედ ამ სპორტსმენებს შორის უნდა განაწილებულიყო, მაგრამ დარწმუნებით ვერავინ იტყოდა, ვის რა ღირსების ლითონი შეხვდებოდა, ვინ გახდებოდა ჩემპიონი, ვინ ბოლო საპრიზო ადგილზე დარჩებოდა.

პირველი მოძრაობა. დიტომ მეტოქეები ჩამოიტოვა, როცა 127,5 კგ დაძლია, მაგრამ ასეთივე შედეგი ჰქონდა ბულგარელ ნ. ნურიკიანს, რომელიც ქართველ სპორტსმენზე რაღაც 25 გრამით მჩატე იყო. ბენედეკმა 125 კგ დაძლია, ნოვაკმა და მიაკემ 120-120. ატაცში 120-120 კგ აწიეს დიტომ, უნგრელმა და იაპონელმა. ორი მოძრაობის ჯამში ქართველი ძალოსანი დაწინაურდა — 247,5. მას 2,5 კგ-ით ჩამორჩებოდნენ ნურიკიანი, ბენედეკი და ვოინოვსკი. როცა აკვრაში ბენედეკმა, ნოვაკმა 145 კგ-ს ძლივს გაართვეს თავი, დიტო 147,5 კგ-ის დასაძლევად გამოვიდა და ძალდაუტანებლად აილო წონა. ვოინოვსკიმ ამ სიმძიმის დამორჩილებას სამი ცდა ამაოდ შეალია.

შტანგაზეა 150 კგ. ხელი მოეცარათ ბენედეკს, მიაკეს. შანიძემ კი ამ წონას 2,5 კგ დაუმატა და ადვილად გაუმკლავდა შტანგას.

თვალნათლივ ჩანდა, რომ შანიძე ოლიმპიურ ჩემპიონობას უმიზნებდა. მართალია, ნურიკიანს ჯერ არ ეთქვა საბოლოო სიტყვა, მაგრამ ამ უკანასკნელს დიტოს მთავარ მეტოქედ რატომღაც არ თვლიდნენ საბჭოთა გუნდის მწვრთნელები და საქმე დამთავრებულად მიაჩნდათ. ასევე ფიქრობდნენ ალბათ საბჭოთა ჟურნალისტები, რომლებიც გარს შემოხვეოდნენ და შანიძის შესახებ დაწვრილებით ცნობებს მთხოვდნენ. 10 წუთში ქართველ ძალოსანზე ნარკვევიც კი გამოაცხო ახალი ამბების სააგენტოს სპორტის განყოფილების გამგემ ს. პოპოვმა.

ნურიკიანი ფიცარნაგზე არ ჩანდა. მან მეორე წონაც გამოტოვა. დიქტორმა შანიძე იხმო. შტანგაზეა 155 კგ. დიტომ სიმძიმე ხელში მოიგდო, მკერდზე მიიტანა, აკრა და... თითქოს ყველაფერი მორჩა, მაგრამ დიტომ თავი ვერ შეიკავა, ფიცარნაგზე ზედმეტი ნაბიჯები გადადგა და სიმძიმე დაუძლეველი დარჩა. შანიძის მიერ სამჭიდში დაგროვილი ჯამი — 400 კგ წარმატების იმედს იძლეოდა.

რას იზამს ნურიკიანი? მან 157,5 კგ შეუკვეთა. ეს უკვე მეტისმეტი იყო, მაგრამ ათლეტმა სიმძიმე დაძლია და ჩემპიონი გახდა. დიტოს მიმართ საყვედური არ გვეთქმის. მან თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინა და ვერცხლის პრიზიორი გახდა. მხოლოდ ის გვაფიქრებს, ტაქტიკური შეცდომა ხომ არ დაუშვეს ჩვენი გუნდის მწვრთნელებმა? ნახეს რა, რომ შანიძეს მეტოქეობას ველარ უწევდნენ ბენედეკი, ვოინოვსკი, ნოვაკი და მიაკე, იფიქრეს, ნურიკიანი დიდ სიმძიმეს ვერ დაძლევსო, და საქმე დამთავრებულად ჩათვალეს.



• • •

მიუნჰენის ვოგზალში რეგენსბურგისკენ მიმავალი მატარებელი გველოდა. ბავარიის ამ პატარა ქალაქში დანიშნული იყო კალენდარული მატჩი საბჭოთა და ბირმის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ამ დღეს ოლიმპიადის დედაქალაქში საინტერესო მაინცდამაინც არაფერი გველოდა, ჩვენს ფეხბურთელებს იოლი მატჩი ჰქონდათ და გოლებს მოწყურებული, ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ უკვე რეგენსბურგში ვიყავით. მატჩამდე დარჩენილი დრო ამ პატარა ქალაქის დათვალიერებას მოვანდომეთ. მართლაც, ბავარიის ეს უძველესი ქალაქი საოცრად ლამაზი ჩანდა. მხიარული გუნებით შევედით სარბიელზე, ჩვენთვის განკუთვნილი ადგილები დავიკავეთ პრესის ლოჟაში და შეხვედრის დაწყებას დაველოდეთ.

— აბა თუ მეტყვით, როგორი იქნება ანგარიში? გადაულაპარაკა მოსკოველმა კოლეგამ ფეხბურთის ცნობილ კომენტატორს მ. მერჟანოვს. ამ უკანასკნელმა მეზობელს გაკვირვებით გადახედა და უპასუხა:

— ოლიმპიურ თამაშებში ყველა მეტოქე, რა რანგისაც უნდა იყოს იგი, ძნელად დასაძლევია. ეს თითქოს დაკანონებულია: ძლიერი ფრთხილობს, სუსტს დასაკარგი არაფერი აქვს და თავგანწირვით იბრძვის.

მერჟანოვი მართალი გამოდგა. დაიწყო თუ არა მატჩი, მინდორზე ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. ბირმელებს წითელი მაისურები ეცვათ, საბჭოთა ფეხბურთელებს — ცისფერი. ერთ მომენტში, როცა ჩვენი გუნდის მეტოქემ მძლავრი შეტევა წამოიწყო და საბჭოთა ნაკრების კართან საშიშროება შეიქმნა, რომელიღაც ჩვენთაგანმა ალბათ იხუმრა, როცა წამოიძახა:

— ასე კარგად რომ თამაშობენ, „წითლები" ჩვენებია?

საბჭოთა ნაკრებს მართლაც გაუჭირდა ბირმელებთან გამკლავება. კოლოტოვის ერთადერთი ბურთი გადამწყვეტი გამოდგა ამ მატჩში. შეხვედრის შემდეგ ფეხბურთელთა გასახდელს მივაშურეთ. აქ ისეთი ორომტრიალი დაგვხვდა, გაგვიკვირდა. ბირმელ ფეხბურთელებს ხელში აეტაცნათ სსრ კავშირის ნაკრების მეორე მწვრთნელი გ. ზონინი და ჰაერში აბურთავებდნენ. მივხვდით, რაშიც იყო საქმე. ზონინი ხომ რამდენიმე წელიწადს ბირმაში მუშაობდა, იქაურ ფეხბურთელებს წვრთნიდა და სწორედ მისი აღზრდილები იყვნენ, რომ აბურთავებდნენ.

პოლონელებთან მოულოდნელი მარცხის შემდეგ ჩვენს გუნდს III ადგილისთვის უნდა ეზრუნა. საბჭოთა ნაკრებმა ვერ გამოავლინა მისთვის ჩვეული თვისებები — სისწრაფე, ფიზიკური გამძლეობა, კარში ზუსტი დარტყმის უნარი. დაცვასაც ბზარი გაუჩნდა (მ. ხურცილავა დაშავებული იყო და მხოლოდ ბოლო მატჩებში შეძლო მინდორზე გამოსვლა). სუსტად თამაშობდნენ ოლშანსკი, ისტომინი, გუნდის რგოლების დამაკავშირებელი ნახევარდაცვა. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც კარგი თამაშით გამოირჩეოდა, ი. საბო იყო.

გდრ-ის ნაკრებთან ბრინჯაოს მედლისთვის მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებმა შედარებით კარგად ჩაატარეს, განსაკუთრებით შეხვედრის პირველი ნახევარი, როცა ანგარიში იყო 2:0 ჩვენების სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ ანგარიში გათანაბრდა და გამარჯვებული დამატებითმა დრომაც ვერ დაასახელა. ორივე გუნდს ბრინჯაოს მედლები ხვდა წილად.

საბჭოთა ფეხბურთელებისგანაც ოქროს ველოდით და ბრინჯაო კი მივიღეთ. არადა გვეგონა, 16 წლის იძულებითი „შესვენების" შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები თავს გამოიჩენდნენ.

• • •

მიუნჰენში საბჭოთა სპორტსმენებიდან ოლიმპიური ოქრო ერთ-ერთმა პირველმა ლ. თედიაშვილმა მოიხვეჭა. ეს იყო ჩვენი ნამდვილი ზეიმი. მაგრამ როცა ოქროს წვიმა წამოვიდა, ყველა სარბიელზე ხშირად ჟღერდა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, შემდეგ ოქროს უხვ ნადავლს თითქოს შევეჩვიეთ, უკვე აღარ გვიკვირდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს წარგზავნილს, ნიჩბოსან ვ. კრატასიუკის (იგი ბელორუსიელ ნ. გორბაჩოვთან ერთად გამოდიოდა) ოქრო უკვე სენსაციად არ მოგვეჩვენა. არა და, რა ბრწყინვალედ გამოვიდა ეს წყვილი, რომელმაც ორადგილიანი ბაიდარებით ორთაბრძოლაში ყველა მეტოქე დაჯაბნა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

**ზ. ჯაფარიძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

მიუნჰენი — თბილისი.

• • •

ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის ფინალურ მატჩში პოლონელებმა სძლიეს უნგრელებს — 2:1.

ს უ რ ა თ ზ ე: წარმატებით გახარებული პოლონელები ერთმანეთს ულოცავენ ოლიმპიურ ჩემპიონობას. მარცხნიდან — ი. გორგონი, ვ. ლიუბანსკი, ლ. სმიკევიჩი, რ. გადოხა.

# მძლეოსნურ მერიდიანებზე

ბუქარესტი, 9 ოქტომბერი. აქ გამართული სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა. ვაჟთა შორის წარმატებით იასპარეზეს მოსკოველმა ა. კორნელიუკმა, რომელმაც 100 მეტრი 10,5 წამში გაირბინა, და ლენინგრადელმა რ. შარაფეტდინოვმა, რომელიც უძლიერესი გახლდათ 10 კილომეტრიან დისტანციაზე — 29.35,0. კრასნოდარელმა თარჯმორბენალმა ე. ბორისენკომ 400 მეტრის გარბენას 51,6 წამი მოანდომა და პირველობა დაისაკუთრა. მტყორცნელებიც კარგად გამოვიდნენ: ა. მაკაროვმა (მოსკოვის ოლქი) მოიგო შუბის ტყორცნა — 80,16 მ, ტალინელმა ვ. კუსემიიამემ — ბადროს ტყორცნა — 57,55 მ. კრასნოდარელი მ. ბარიბანი უძლიერესი იყო სამხტომში — 16,19 მ. მოსკოველმა ვ. გავრილოვმა სიმაღლეზე ხტომაში ცდებით წააგო მასპინძელ ი. შერბანუსთან, ორივემ 208 სმ დაძლია.

ქალთა შეჯიბრებაში სსრ კავშირის ათლეტებიდან თავი ისახელეს: მოსკოველმა ნ. კოლესნიკოვამ — 400 მეტრზე რბენაში — 53,0, კიშინიოველმა ე. დოლჟენკომ — ბირთვის კვრაში — 18,80, აგრეთვე, კვარტეტმა 4X400 მეტრზე ესტაფეტაში — 3.41,0.

სხვა ქვეყნების სპორტსმენთა მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენის, რუმინელი ა. მენისის შედეგი — 63,26 მ. შუბის ტყორცნა მოიგო ი. კუჩერამ (უნგრეთი) — 57,94 მ. 200 მეტრზე რბენა — ბულგარელმა ი. ვალკოვამ — 23,6.

პადუია, 9 ოქტომბერი. საფრანგეთისა და იტალიის მძლეოსან ქალთა ნაკრები გუნდების მატჩში, რომელიც იტალიის ამ ქალაქში გაიმართა, ფრანგებმა გაიმარჯვეს — 137:119. პირადი შედეგებიდან აღსანიშნავია მხოლოდ მსოფლიოს ექსრეკორდსმენის ნ. დიუკლოს (საფრანგეთი) მაჩვენებელი 400 მეტრზე რბენაში — 53,6.

ოდესა, 9 ოქტომბერი. სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობაში კარგად გამოვიდა მსოფლიო რეკორდსმენი, მიუნჰენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, რიგელი ოფიცერი ი. ლუსისი. მის მიერ ნატყორცნი შუბი 87,54 მეტრზე დაეცა. ოდესელი სპორტის მოყვარულები გაახარა თანამემამულე ვ. ბელანმა, რომელმაც ამ სახეობაში საკმაოდ მაღალი შედეგით (85,42 მ) II ადგილი დაისაკუთრა. კიშინიოველმა ვ. ბოლოშოვმა მოიგო სიმაღლეზე ხტომა — 214 სმ.

ტურნირში საზღვარგარეთის ზოგიერთი სპორტსმენიც მონაწილეობდა. მათგან აღსანიშნავია ბულგარელი ვ. ამზინა, რომელმაც ჯერ 800 მეტრზე რბენა მოიგო, ხოლო შემდეგ 1500 მეტრზე რბენაში ისახელა თავი. მეორე დისტანციაზე მისი შედეგია 4 წუთი და 20 წამი.

ჩირჩიკი, 9 ოქტომბერი. უზბეკეთის ამ ქალაქში მოეწყო საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კომკავშირულ-პროფკავშირული კროსის ფინალი. საერთო გუნდურ ჩათვლაში რსფსრ-ს ნაკრებმა გაიმარჯვა. მთავარ დისტანციებზე ჩემპიონები გახდნენ: მოსკოველი ი. ალექსაშინი, რომელმაც 800 მეტრზე რბენა მოიგო და უფელი ს. ვასკოვა, რომელიც 3000-მეტრიანი დისტანციის ფინიშთან პირველი მიიჭრა.

კოშიცე, 9 ოქტომბერი. აღმოსავლეთ სლოვაკიის ამ ქალაქის გარეუბანში გამართულ 42-ე საერთაშორისო „მშვიდობის მარათონი" მოიგო 30 წლის ავსტრალიელმა ჯ. ფარინგტონმა — 2:17.34,4. ეს შედეგი კოშიცეს ტრასისთვის სარეკორდოა. ინგლისელი ვ. ოსტინი გამარჯვებულს 20 წამით ჩამორჩა. III ადგილზეა კ. ჰაკარაინენი (ფინეთი) — 2:18.59,4. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო გახლდათ ვ. მოისეევი (2:25.48,0), რომელმაც XV ადგილი დაიკავა.

კოშიცეს ცენტრში აღმართულ მონუმენტზე ტრადიციულ მარათონში გამარჯვებულთა პატივსაცემად უკვე ამოკვეთილი იყო ევროპის, ამერიკისა და აფრიკის საუკეთესო სპორტსმენთა სახელები. ახლა მათ „მწვანე კონტინენტის" — ავსტრალიის სპორტსმენის გვარიც მიემატა.

შეჯიბრებაში 17 ქვეყნის 112 მორბენალი მონაწილეობდა. მათგან ფინიშამდე მხოლოდ რვამ ვერ მიაღწია.

### რაიონებში [illegible]

**გორი**

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა რაიონის სპორტსკოლის სამბისტთა შიდასაკოლექტივო შეჯიბრება. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. ხუციშვილმა, ვ. ჩოჩიშვილმა, გ. ბარჯაძემ, ნ. ვანიშვილმა, ვ. ბზიშვილმა, გ. განჯელაშვილმა, გ. ხაბულაშვილმა, ვ. მარგიევმა, თ. ხუბულურმა.

**გ. მთვარელიძე,**
სპორტსკოლის დირექტორი.



მსაჯები...

დ. კახურაშვილის ფოტო.

სსრ კავშირის პირველობა

# როცა დაცვაში ქაოსია...

უმაღლესი ლიგა

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 10 ოქტომბერი.

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი) 5:0 (1:0).

„ზენიტი": პრონინი, დერემოვი, ლოხოვი, სადირინი, ზაგუმენიხი, ვიუნი, ფოკინი, ტრემბაჩი, ზინჩენკო, ხრომჩენკოვი (ნიკოლაევი), კოზი (ივანოვი).

„დინამო": გოგია, გოგიჭანაშვილი (ლ. ნოდია), ჰელიძე, ებრალიძე, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი პ. კაატი (ტალინი).

დუბლიორები — 4:1 „ზენიტის" სასარგებლოდ.

გვკითხათ მატჩის წინ ვისთვისაც გნებავთ, გამოცდილი სპეციალისტი იქნებოდა ეს, თუ ჯერ კიდევ სრულიად უცოდინარი მაყურებელი, ასეთ ანგარიშს ვერ წარმოიდგენდა ვერავინ. „ზენიტმა" დაამარცხა თბილისის დინამო" — 5:0... გაუგონარი ამბავია! მოველოდით, რომ ლენინგრადელები შინ მინსკის „დინამოსთან" დამარცხების შემდეგ ყველაფერს გააკეთებდნენ, რათა ერთდროულად სატურნირო მდგომარეობაც გამოესწორებინათ და თავიანთ გულშემატკივართა წინაშე რეაბილიტაციაც მოეხდინათ, მაგრამ ასეთ ფორმებში?..

გასაკვირი ისაა, რომ პირველ ტაიმში, როცა „ზენიტი" საერთო ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა და ხშირად უტევდა მოწინააღმდეგის კარს, გუნდმა მხოლოდ მინიმალურ უპირატესობას მიაღწია და ისიც მხოლოდ 11-მეტრიანის წყალობით, რომელიც მსაჯმა დანიშნა ხრომჩენკოვის ხელით დაჭერისთვის. სადირინმა, როგორც ყოველთვის, ზუსტად დაარტყა პენალტი — 1:0.

საოცრებანი მეორე ტაიმში მოხდა. საოცრებას ვამბობთ იმიტომ, რომ დინამოელებმა თითქოს სრული გარდატეხა შეიტანეს თამაშში, 15 წუთის განმავლობაში არ მოსცილებიან მეტოქის კარს, ზენიტელებს გაძლიერებული ძალებით მოუხდათ თავის დაცვა, მაგრამ როცა ვიხსენებთ თბილისის „დინამოს" მცველთა თამაშს, გასაოცარი ალარაფერი გვრჩება, ვინაიდან საკმარისი იყო მცირე, შორეული კონტრშეტევის წამოწყება და თბილისელთა დაცვა მასპინძელთა 2—3 მოთამაშის წინაშე აბსოლუტურად დეზორგანიზებული, აბნეული და უსუსური, ნამდვილად უმწეო ჩანდა. ასეთივე იყო მეკარე გოგიაც. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ტაქტიკურ შეცდომებზე, რომელიც შეიძლება მოუვიდეს მცველს. უბრალოდ, „დინამოს" საჯარიმო მოედანზე თავისუფლად შეიძლებოდა როგორიც გნებავთ კომბინაციის ჩატარება, თავისუფალი პოზიციიდან კარში დარტყმა. ხელის შემშლელი არავინ იყო.

მდგომარეობის ხსნის იმედი ჯერ კიდევ იყო მეორე გოლის შემდეგაც, რომელიც ტრემბაჩმა ადვილად გაიტანა 62-ე წუთზე, ვინაიდან თბილისელები განაგრძობდნენ იერიშებს (პრონინს ორი ძნელი ბურთის აღება მოუხდა), მაგრამ როცა 74-ე წუთზე სტუმრების დაცვა კვლავ დაიბნა სრულიად ელემენტარულ ვითარებაში და საშუალება მისცა ზინჩენკოს კიდევ ერთი ბურთი გაეტანა, მატჩის ბედი ეჭვს აღარ იწვევდა.

მაგრამ ანგარიშიც არის და ანგარიშიც. დინამოელთა თამაშში შეცდომა შეცდომას მოსდევდა, მოთამაშეთა შორის მთლიანად დაიკარგა ურთიერთგაგება, „ზენიტმა" კი არ დააყოვნა პირველ წრეში მოკრძალებული ანგარიშით წაგებული მატჩისთვის აელო ხუთმაგი რევანში: ნიკოლაევმა და ზინჩენკომ კიდევ ორჯერ აიღეს გოგიას კარი.

5 ბურთი წლეულს ლენინგრადელებს არც ერთ მატჩში არ გაუტანიათ.

ვ. კოლესნიკოვი,
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

## გათამაშების ცხრილი

II ლიგა
III ზონა

მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 32 | 19 | 10 | 3 | 60—27 | 48 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 32 | 18 | 9 | 5 | 54—19 | 45 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 32 | 17 | 7 | 8 | 43—33 | 41 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 33 | 15 | 10 | 8 | 46—29 | 40 |
| „დინამო" (ბათუმი) | 32 | 14 | 12 | 6 | 50—35 | 40 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 32 | 15 | 6 | 11 | 32—24 | 36 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 32 | 15 | 5 | 12 | 42—42 | 35 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 33 | 12 | 10 | 11 | 35—37 | 34 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 32 | 12 | 9 | 11 | 38—30 | 33 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდ.) | 32 | 13 | 7 | 12 | 32—30 | 33 |
| „დილა" (გორი) | 33 | 11 | 11 | 11 | 33—34 | 33 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 33 | 12 | 8 | 13 | 35—40 | 32 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 31 | 10 | 7 | 14 | 37—33 | 27 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 33 | 10 | 7 | 16 | 38—48 | 27 |
| „დინამო" (სოხუმი) | 32 | 7 | 12 | 13 | 34—48 | 26 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 33 | 8 | 9 | 16 | 29—43 | 25 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 32 | 7 | 10 | 15 | 29—45 | 24 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 33 | 7 | 4 | 22 | 30—71 | 18 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 32 | 3 | 11 | 18 | 26—49 | 17 |

## „პარკ დე პრენსი", 13 ოქტომბერს

13 ოქტომბერს, პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე გაიმართება სსრ კავშირისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების პირველი ოფიციალური შეხვედრა (მანამდე ამ კოლექტივებს მხოლოდ ამხანაგური მატჩები ჰქონდათ ერთმანეთთან).

პარიზში გამგზავრების წინ საკდეს-ის კორესპონდენტები ესაუბრნენ სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს ა. პონომარიოვს.

— მე, სამწუხაროდ წლეულს არ მინახავს ფრანგი ფეხბურთელების თამაში, თუმცა ცნობილია, რომ მათ მაღალი ტექნიკა და კარგი ფიზიკური მომზადება აქვთ. — თქვა მწვრთნელმა.

— გუშინ ნაკრებმა საწვრთნელი მატჩი ჩაატარა მოსკოვის „სპარტაკის" დუბლიორებთან ასეთი შემადგენლობით: პილგუი, ძოძუაშვილი, კაპლიჩნი, ხურცილავა, ლოვჩევი, ფედოტოვი, ს. კუზნეცოვი, კოლოტოვი, იშტოიანი, სემიონოვი, ბლოხინი.

ა. პონომარიოვის სიტყვებით ესაა ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა 13 ოქტომბრისთვის, ამასთან, რეზერვში არიან რუდაკოვი, ოლშანსკი, მუნტიანი, პუზაჩი, ევრიუჟიხინი, ვ. კუზნეცოვი და ონიშჩენკო.

დღეს ჩვენი ფეხბურთელები პარიზს გაემართნენ.





# კიდევ ერთი ნაბიჯი მედლებისკენ

სკოპლე, 10 ოქტომბერი. სსრ კავშირის ნაკრებმა საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა: ფინალური შეჯიბრების XII ტურში საბჭოთა დიდოსტატებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს აშშ-ს გუნდი. ტალმა ბრწყინვალე სტილში, საკმაოდ სწრაფად მიაღწია გადამწყვეტ უპირატესობას ბენკოსთან პარტიაში და მეტოქე აიძულა დანებებულიყო. ახალგაზრდა დიდოსტატმა კარპოვმა ოლიმპიადაში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო პარტია ითამაშა. ბისპაიერი, რომელსაც იგი ხვდებოდა, იძულებული გახდა შესვენებამდე დამარცხებულად ეცნო თავი. პეტროსიან—კავალეკისა და სმისლოვ-ბირნის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

საბჭოთა დიდოსტატებმა 33,5 ქულა მიიღეს. ისინი 2 ქულით უსწრებენ II ადგილზე მყოფ უნგრეთის ნაკრებს. მართალია, უნგრელებს მარაგში აქვთ კიდევ ორი პარტია, რომელთაც დღეს დაამთავრებენ. უნგრელი დიდოსტატები ჯერჯერობით წინ არიან არგენტინელებთან მატჩში — 2:0.

სატურნირო ცხრილის მესამე სტრიქონი „მინდვრის მასპინძლებს" — იუგოსლავიელებს უჭირავთ. ამ ტურში ისინი ბულგარელებს ხვდებოდნენ. 1:1 — ასეთია ამ შეხვედრის შედეგი (ორი პარტია გადადებულია).

საბჭოთა მოჭადრაკეებს ელით შეხვედრები ესპანეთის, არგენტინისა და რუმინეთის გუნდებთან, XIII ტურში მათი მეტოქენი ესპანელები იქნებიან. იუგოსლავიის ნაკრები შეხვდება გდრ-ის წარმომადგენლებს, უნგრეთის გუნდი კი რუმინელებს.

ქალები, რომლებისთვისაც ეს V ოლიმპიადაა, დღეს არ თამაშობდნენ. სტუმართმოყვარე მასპინძლებმა იზრუნეს, რომ „დასვენების დღე" საინტერესო ყოფილიყო. სტუმრები იყვნენ ქალაქის პარკში, ნახეს კულტურის სასახლეები, ქალაქის საწარმოები და სხვ.

* * *

სურათზე: ოლიმპიადის ემბლემა.

საკდესის ფოტო.


თბილისის სპორტის სასახლე

14—31 ოქტომბერი

ნახეთ უკრაინის ანსამბლი



„ბალეტი ყინულზე"

ახალი პროგრამა

მხატვრული ხელმძღვანელი და დამდგმელი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვახტანგ ვრონსკი.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში. სპორტის სასახლეში მიიღება განაცხადები კოლექტიურ დასწრებაზე.

დასაწყისი 20 ს., შაბათობით და კვირაობით — 13 და 20 საათზე.

ტელეფონით ცნობები: 36-20-54, 36-24-03, 36-01-55.


რედაქტორი მ. კაკაბაძე.


საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს

კონკურსს შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე

მძლეოსნობის მასწავლებელი — 1 ერთეული,

ნიჩბოსნობის მასწავლებელი — 0,5 ერთეული,

მხატვრული ტანვარჯიშის მასწავლებელი — 1 ერთეული,

რუსული ენის მასწავლებელი — 1 ერთეული,

ფრანგული ენის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე, 9-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.






გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქტორის მოადგილე — 93-97 51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97-52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97 53, ფეხბურთის განყოფილება — 99 81-71, 93 97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93 97 57, წერილების განყოფილება — 93 97-54, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97-58, გამომშვები — 93 98 81, კორექტორები — 93 97-49.